უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

08.04.2024

თბილისი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ----**ნინო**----------

გვარი --------**სილაგაძე**----------

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120

9	განხორციელების ადგილი[1]	საქართველო, 0108, თბილისი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქ. 22, საქართველო, 0162, თბილისი, ვლადიმერ გაბაშვილის ქ. 10,
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია, შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაცია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 07.02.2023 გადაწყვეტილება 174752
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 7 თებერვალი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2024 წლის 7 თებერვალი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 07 თებერვალი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

[1]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია დაორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[2]

1. შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი სამაგისტრო პროგრამის იმ არჩევით კურსებში, რომლებიც ხელოვნების ისტორიას შეეხება. სწავლის შედეგებზე სრულად გასასვლელად უმჯობესია ხელოვნების ისტორიის სფეროს შემსწავლელი სალექციო კურსები შეძლებისდაგვარად ფარავდეს მინიმუმ იმ ეპოქებისა და მიმდინარეობების ხელოვნებას, რომელთა ნიმეუშები შეიძლება გახდეს მომავალი რესტავრატორის საქმიანობის ობიექტი.

2. პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი;

[2]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.----------
---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[3]

მითითებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე შეიქმნა ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირების შემადგენლობით: თამარ ხუნდაძე- რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, ნინო ჭოღოშვილი – რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ანა კლდიაშვილი – ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი, თინათინ ბატიაშვილი –ხარისხის სამსახურის უფროსის თანაშემწე, ნანა კუპრაშვილი – კონსერვაციის ცენტრის დირექტორი, თამარ ლილუაშვილი – პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ლელა მიქაბერიძე – მიმართულების ხელმძღვანელი, მეცნიერ-თანამშრომელი, ნუცა პაპიაშვილი – მეცნიერ-თანამკშრომელი, ასმათ ტყეშელაშვილი – მოწვეული პედაგოგი, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი, ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს ოქმი 10-დან. 24.05.2023). სამუშაო ჯგუფმა კონკრეტული სამუშაო გრაფიკის მითითებით განსაზღვრა შესასრულებელი სამუშაო, რომელიც განაწილდა თსსა აკადემიურ პერსონალსა და პედაგოგებს შორის (სამუშაო ჯგუფის ოქმი 1. 30.05.2023). 2023 წლის 24 ნოემბერს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი 25. 24.11.2023) სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლებშიც შესრულებულია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია: კერძოდ, რიგ სილაბურებს დაემატა ელექტრონული სასწავლო მასალა და

[3]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

სამეცნიერო ლიტერატურა, ძირითად ლიტერატურაში მითითებული რუსულენოვანი ლიტერატურა შეიცვალა თანამედროვე ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რომლებიც გამოცემულია 2000-იან წლებში (სალექციო კურსები: ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა-ტექნოლოგია, ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (1 და 2, თეორია და პრაქტიკა), ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (1 და 2, თეორია და პრაქტიკა), მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) ტექნიკა-ტექნოლოგია, პედაგოგიკა, საკონსერვაციო მასალების ქიმია, პრევენციული კონსერვაცია, მინერალოგია-პეტროგრაფიის საფუძვლები რესტავრაცია-კონსერვაციაში, მართლმადიდებელი საეკლესიო ხელოვნების იკონოგრაფია, ბიზანტიის სახვითი ხელოვნება, შუა საუკუნეების აღმოსავლეთქრისტიანული რელიეფური ქანდაკება, ეპიგრაფიკა, გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში, სამუზეუმო საქმის ისტორია და თეორია, საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები). პროგრამას დაემატა არჩევითი კურსები, რომლების შინაარსმა შეავსო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მითითებული ხარვეზები. დამატებით წარმოდგენილ იქნა 9 სილაბუსი, რომელთაგან 5 სილაბუსი თანამედროვე ქართულ და მსოფლიო ხელოვნებას (XIX-XX-XXI სს) მოიცავს, ხოლო დანარჩენი ოთხი - შუა საუკუნეების როგორც ქართულ, ასევე, ბიზანტიურ ხელოვნებას. ამდენად, არჩევითი საგნები ფარავს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეტაპს და სტუდენტებს კიდევ უფრო ფართო არჩევანის შესაძლებლობას აძლევს (სალეციო კურსები: 1950-60-იანი წლების ქართული ფერწერა, 1980-იანი წლების ქართული მხატვრობა, ქართული ხელოვნების ისტორია XIX საუკუნის II ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, XX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორია, ქართული გრაფიკული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორია, ბიზანტიის სახვითი ხელოვნება, შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების პრობლემები, შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა და ქრისტიანული სამყარო, ქართული ლითონმქანდაკებლობის ისტორია).

ფაკულტეტის საბჭომ განიხილა და დაამტკიცა ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მომზადებული ანგარიში. 2023 წლის 14 დეკემბერს თსსა აკადემიურმა საბჭომ განიხილა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის მიერ მომზადებული ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამასთან დაკავშირებით და დაამტკიცა ის (ამონაწერი თსსა აკადემიური საბჭოს ოქმიდან 38. 14.12.2023).

რჩევ(ებ)ი[4]

1. სასურველია ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით დაინერგოს და გაღრმავდეს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორული თანამშრომლობა, რაც დაეხმარება ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობას.

2. სასურველია გაძლიერდეს და წახალისდეს ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში.

3. მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის ჩართულობით დაიგეგმოს შეხვედრები აკადემიაში სტუდენტებთან და მათ ხელმძღვანელებთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური წერის სტილის შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[5]

თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ზემოთ დასახელებული სამუშაო ჯგუფის (ანა კლდიაშვილი, თამარ ხუნდაძე, ნინო ჭოღოშვილი, თინანო ბატიაშვილი, თამარ ლილუაშვილი, ლელა მიქაბერიძე, ნუცა პაპიაშვილი, მარიამ საღარაძე, ასმათ ტყეშელაშვილი) მიერ განხორციელებულია შემდეგი სამუშაო ექსპერტთა ჯგუფის რჩევების შესასრულებლად: შედგა საერთაშორისო ვორქშოფები:

---

[4]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[5]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

1. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციაში - მარილები და გარემო პირობების კვლევა-მონიტორინგი (2023 წლის წლის 6, 7, 8, 11, 12 სექტემბერი),), დამფინანსებელი: განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია. ვორქშოფი ჩატარდა 2023 წლის 6, 7, 8, 11, 12 სექტემბერს. ვორქშოფის საერთაშორისო მენტორები იყვნენ ჯოშუა ჰილი (Nottingham Trent University, UK), ვინსენტ ბელტრანი (Getty Conservation Institute, USA), იორიენ დუვენვორდენო (University of Amsterdam & Rijksmuseum, Netherlands), ვენდი როუზი (დამოუკედებელმა ექსპერტი, აშშ). ბაკალავრიატის საფეხურის მეოთხე კურსის სტუდენტებთან და კურსდამავრებულებთან ერთად ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა.

2. საქართველოს უძრავი კულტურული მემკვიდრეობა და კონსერვაცია (ერაზმუს + ესტონეთის სამხატვრო აკადემია, 22-24 ოქტომბერი), ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო 11 ესტონელმა და 11 ქართველმა სტუდენტმა (მათ შორის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა). პროგრამაში ასევე მონაწილეობდა მხატვრობისა და ქვის კონსერვაციის 8 ქართველი სპეციალისტი და ესტონეთის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურისა და მხატვრობის კონსერვაციის 10 პროფესორ-მასწავლებელი. ღონისძიება ჩატარდა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა ერაზმუს+ ფარგლებში და ეძღვნებოდა ქვეყნებს შორის კედლის მხატვრობის კონსერვაციის პრაქტიკის გაზიარებას.

შედგა თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა ჟურნალი ACADEMIA, N10, გვ. 248, სტატია: მიქაელ-იჩქით გურგენიძე, აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მწვანე კონსერვაცია და საქართველო.

სტუდენტი მიქაელ-იჩქით გურგენიძე 2022 წლს 30 ნოემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით იმყოფებოდა კელნის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (TH Köln, Cologne University of Applied Sciences), როგორც მიწვეული სტუდენტი, მიმართულება (კოდიკოლოგია და პრევენციული კონსერვაცია - "Ostpartnerschaften“, Georgien, Kodikologie und präventive Konservierung). მიმწვევი ორგანიზაცია: კელნის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (TH Köln, Cologne University of Applied Sciences), კელნი, გერმანია. დამფინანსებელი ორგანიზაცია: DAAD (გერმანული აკადემიური გაცვლითი პროგრამა). ერაზმუს+ პროექტის (2021-2027 წწ.) ფარგლებში ესტონეთის სამხატვრო აკადემიაში გაცვლით პროგრამით (კულტურული მემკვიდრეობის და კონსერვაციის მიმართულება) მიემგზავრება მაგისტრატურის სტუდენტი მარიამ ნადირაძე, სწავლის ხანგრძლივობა 29.01.2024-14.06.2024. მიმდინარეობს მოლაპარაკება კელნის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტსა (TH Köln, Cologne University of Applied Sciences) და

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას შორის რესტავრაცია/კონსერვაციის მიმართულებით თანამშრომლობის გაგრძელებისა და გაფართოების შესახებ. უფრო ინტენსიური სახე მიეცა სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისების მუშაობას.

დამატებითი ინფორმაცია[6]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[7]

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I	შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი სამაგისტრო პროგრამის იმ არჩევით კურსებში, რომლებიც ხელოვნების ისტორიას შეეხება. სწავლის შედეგებზე სრულად გასასვლელად უმჯობესია ხელოვნების ისტორიის სფეროს შემსწავლელი სალექციო კურსები შეძლებისდაგვარად ფარავდეს მინიმუმ იმ ეპოქებისა და მიმდინარეობების ხელოვნებას, რომელთა ნიმეუშები შეიძლება გახდეს მომავალი რესტავრატორის საქმიანობის ობიექტი.
აღწერა	**შესრულებულია რეკომენდაცია:** კერძოდ, პროგრამას დაემათა არჩევითი კურსები, რომლების შინაარსმა შეავსო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მითითებული ხარვეზები. დამატებით წარმოდგენილ იქნა 9 სილაბუსი, რომელთაგან 5 სილაბუსი თანამედროვე ქართულ და მსოფლიო ხელოვნებას (XIX-XX-

[6]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[7]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

	XXI სს) მოიცავს, ხოლო დანარჩენი ოთხი - შუა საუკუნეების როგორც ქართულ, ასევე, ბიზანტიურ ხელოვნებას. ამდენად, არჩევითი საგნები ფარავს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეტაპს (კურსები: 1950-60-იანი წლების ქართული ფერწერა, 1980-იანი წლების ქართული მხატვრობა, ქართული ხელოვნების ისტორია XIX საუკუნის II ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, XX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორია, ქართული გრაფიკული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორია, ბიზანტიის სახვითი ხელოვნება, შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების პრობლემები, შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა და ქრისტიანული სამყარო, ქართული ლითონმქანდაკებლობის ისტორია).
მტკიცებუ-ლებ(ები)ა	**დანართი 8**. სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია“ **დანართი 9.** დამატებული არჩევითი სალექციო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II	პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.
აღწერა	**რეკომენდაცია შესრულებულია:** კერძოდ, რიგ სილაბუსებს დაემატა ელექტრონული სასწავლო მასალა და სამეცნიერო

	ლიტერატურა, ძირითად ლიტერატურაში მითითებული რუსულენოვანი ლიტერატურა შეიცვალა თანამედროვე ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რომლებიც გამოცემულია 2000-იან წლებში (კურსები: ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა-ტექნოლოგია, ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (1 და 2, თეორია და პრაქტიკა), ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (1 და 2, თეორია და პრაქტიკა), მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) ტექნიკა-ტექნოლოგია, პედაგოგიკა, საკონსერვაციო მასალების ქიმია, პრევენციული კონსერვაცია, მინერალოგია-პეტროგრაფიის საფუძვლები რესტავრაცია-კონსერვაციაში, მართლმადიდებელი საეკლესიო ხელოვნების იკონოგრაფია, ბიზანტიის სახვითი ხელოვნება, შუა საუკუნეების აღმოსავლეთქრისტიანული რელიეფური ქანდაკება, ეპიგრაფიკა, გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში, სამუზეუმო საქმის ისტორია და თეორია, საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები).
მტკიცებუ-ლებ(ები)ა	**დანართი 10.** სილაბუსები, რომლებშიც დაემატა და/ან შეიცვალა სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რჩევა I	სასურველია ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით დაინერგოს და გაღრმავდეს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორული თანამშრომლობა, რაც დაეხმარება ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობას.
აღწერა	თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ზემოთ დასახელებული სამუშაო ჯგუფის (ანა კლდიაშვილი, თამარ

	ხუნდაძე, ნინო ჭოღოშვილი, თინანო ბატიაშვილი, თამარ ლილუაშვილი, ლელა მიქაბერიძე, ნუცა პაპიაშვილი, მარიამ საღარაძე, ასმათ ტყეშელაშვილი) მიერ განხორციელებულია შემდეგი სამუშაო ექსპერტთა ჯგუფის რჩევების შესასრულებლად: შედგა საერთაშორისო ვორქშოფები: 1. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციაში - მარილები და გარემო პირობების კვლევა-მონიტორინგი (2023 წლის წლის 6, 7, 8, 11, 12 სექტემბერი), დამფინანსებელი: განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია. ვორქშოფი ჩატარდა 2023 წლის 6, 7, 8, 11, 12 სექტემბერს. ბაკალავრიატის საფეხურის მეოთხე კურსის სტუდენტებთან და კურსდამავრებულებთან ერთად ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა. 2. საქართველოს უძრავი კულტურული მემკვიდრეობა და კონსერვაცია (ერაზმუს + ესტონეთის სამხატვრო აკადემია, 22-24 ოქტომბერი), ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო 11 ესტონელმა და 11 ქართველმა სტუდენტმა (მათ შორის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა). პროგრამაში ასევე მონაწილეობდა მხატვრობისა და ქვის კონსერვაციის 8 ქართველი სპეციალისტი და ესტონეთის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურისა და მხატვრობის კონსერვაციის 10 პროფესორ-მასწავლებელი. ღონისძიება ჩატარდა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა ერაზმუს+ ფარგლებში და ეძღვნებოდა ქვეყნებს შორის კედლის მხატვრობის კონსერვაციის პრაქტიკის გაზიარებას. სტუდენტი მიქაელ-იჩქით გურგენიძე 2022 წლს 30 ნოემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით იმყოფებოდა კელნის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (TH Köln, Cologne University of Applied Sciences), როგორც მიწვეული სტუდენტი, მიმართულება (კოდიკოლოგია და პრევენციული კონსერვაცია - "Ostpartnerschaften“, Georgien, Kodikologie und präventive Konservierung). მიმწვევი ორგანიზაცია: კელნის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (TH Köln, Cologne University of Applied Sciences), კელნი, გერმანია. დამფინანსებელი ორგანიზაცია: (გერმანული აკადემიური გაცვლითი პროგრამა). ერაზმუს+ პროექტის (2021-2027 წწ.) ფარგლებში ესტონეთის სამხატვრო აკადემიაში გაცვლით პროგრამით (კულტურული მემკვიდრეობის და კონსერვაციის მიმართულება) მიემგზავრება მაგისტრატურის სტუდენტი მარიამ ნადირაძე, სწავლის ხანგრძლივობა 29.01.2024-14.06.2024. მიმდინარეობს მოლაპარაკება კელნის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტსა (TH Köln, Cologne University of Applied Sciences) და თბილისის სახელმწიფო

	სამხატვრო აკადემიას შორის რესტავრაცია/კონსერვაციის მიმართულებით თანამშრომლობის გაგრძელებისა და გაფართოების შესახებ
მტკიცებუ-ლებ(ები)ა	**დანართი 11.** საერთაშორისო ვორქშოფების ჩატარების დამადასტურებელი მასალები (პროგრამები, ფოტოები) წარმოდგენილია ლინკების სახით. **დანართი 12.** კელნის (გერმანის) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (TH Köln, Cologne University of Applied Sciences) (გერმანული აკადემიური გაცვლითი პროგრამა) დაფინანსებით სტუდენტის მიწვევის დამადასტურებელი წერილი. **დანართი 13.** ესტონეთის სამხატვრო აკადემიაში ერაზმუს+ გაცვლით პროგრამის ფარგლებში მაგისტრატურის სტუდენტის მარიამ ნადირაძის მიღების დამადასტურებელი წერილი.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რჩევა II	სასურველია გაძლიერდეს და წახალისდეს ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში.
აღწერა	შედგა თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა ჟურნალი ACADEMIA, N10, გვ. 248, სტატია: მიქაელ-იჩქით გურგენიძე, აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მწვანე კონსერვაცია და საქართველო.
მტკიცებუ-ლებ(ები)ა	**დანართი 14.** თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი

	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და ჟურნალი ACADEMIA, N10

თანდართული დოკუმენტაცია[8]

დანართი 1. ფაკულტეტის საბჭო. ამონაწერი ოქმიდან №10-24.05.202 (2 გვერდი).

დანართი 2. სამუშაო ჯგუფის ოქმი 1. 30.05.2023 (5 გვერდი)

დანართი 3. სამუშაო ჯგუფის ოქმი 2. 14.07.2023 (3 გვერდი)

დანართი 4. სამუშაო ჯგუფის ოქმი 3. 21.09.2023 (2 გვერდი)

დანართი 5. სამუშაო ჯგუფის ოქმი 4. 14.09.2023 (2 გვერდი)

დანართი 6. ამონაწერი რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან 25. 24.11.2023 (2 გვერდი)

დანართი 7. ამონაწერი თსსა აკადემიური საბჭოს ოქმი 38. 23.12.2023 (1 გვერდი)

დანართი 8. სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია“ – (45 გვერდი)

დანართი 9. დამატებული არჩევითი საგნების სილაბუსები ხელოვნების ისტორიიდან – 9 სილაბუსი

1. 1950-60-იანი წლების ქართული ფერწერა (8 გვერდი)
2. 1980-იანი წლების ქართული მხატვრობა (11 გვერდი)

[8]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

3. ქართული ხელოვნების ისტორია XIX საუკუნის II ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე (12 გვერდი)

4. XX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორია (12 გვერდი)

5. ქართული გრაფიკული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორია (15 გვერდი)

6. ბიზანტიის სახვითი ხელოვნება (11 გვერდი)

7. შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების პრობლემები (15 გვერდი)

8. შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა და ქრისტიანული სამყარო (14 გვერდი)

9. ქართული ლითონმქანდაკებლობის ისტორია (11 გვერდი)

დანართი 10. სილაბუსები, რომლებშიც დაემატა და/ან შეიცვალა სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი (21 სილაბუსი)

1. ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიუშების ტექნიკა-ტექნოლოგია (9 გვერდი)

2. ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 1) (9 გვერდი)

3. ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 2) (10 გვერდი)

4. ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 1) (10 გვერდი)

5. ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 2) (9 გვერდი)

6. ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (პრაქტიკა 1) (10 გვერდი)

7. ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (პრაქტიკა 2) (10 გვერდი)

8. ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა - ტექნოლოგია და კონსერვაცია (პრაქტიკა 1) (10 გვერდი)

9. ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა - ტექნოლოგია და კონსერვაცია (პრაქტიკა 2) (9 გვერდი)

10. მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) ტექნიკა-ტექნოლოგია (14 გვერდი)

11. პედაგოგიკა - (12 გვერდი)

12. საკონსერვაციო მასალების ქიმია 2 (11 გვერდი)

13. პრევენციული კონსერვაცია (12 გვერდი)

14. მინერალოგია-პეტროგრაფიის საფუძვლები რესტავრაცია-კონსერვაციაში (8 გვერდი)

15. მართლმადიდებელი საეკლესიო ხელოვნების იკონოგრაფია (9 გვერდი)

16. ბიზანტიის სახვითი ხელოვნება (11 გვერდი)

17. შუა საუკუნეების აღმოსავლეთქრისტიანული რელიეფური ქანდაკება (13 გვერდი)

18. ეპიგრაფიკა (8 გვერდი)

19. გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში (11 გვერდი)

20. სამუზეუმო საქმის ისტორია და თეორია (11 გვერდი)

21. საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები (11 გვერდი)

დანართი 11. საერთაშორისო ვორქშოფების ჩატარების დამადასტურებელი მასალები (პროგრამები, ფოტოები) ლინკების სახით (2 გვერდი).

დანართი 12. კელნის (გერმანის) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (**TH Köln, Cologne University of Applied Sciences**) (გერმანული აკადემიური გაცვლითი პროგრამა) დაფინანსებით სტუდენტის მიწვევის დამადასტურებელი წერილი (1 გვერდი).

დანართი 13. ხელშეკრულება ერაზმუს+ პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და ესტონეთის სამხარვრო აკადემიას შორის; ესტონეთის სამხატვრო აკადემიაში ერაზმუს+ გაცვლით პროგრამის ფარგლებში მაგისტრატურის სტუდენტის მარიამ ნადირაძის მიღების დამადასტურებელი წერილი (1 გვერდი).

დანართი 14. თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და

ჟურნალის ლინკი (**ACADEMIA, N10,** გვ. 248, სტატია: მწვანე კონსერვაცია და საქართველო - 5 გვ.

ექსპერტის ხელმოწერა